№ 158 6 მარიამობისთვე, კვირა 1866—1878 6 მარიამობისთვე, კვირა № 158

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ...ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ, პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა

(პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Д р о э б а“.*

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღის ბირჟა, 4 აკვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—62
მეორესი — — — —	96—37
მესამესი — — — —	96—12
მეოთხესი — — — —	95—87
აღმოსავლეთის — —	95—50
ოქრო, ½ იმპერიალი—	7—88
Თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— —	„— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	235— „
მეორე სესხის — — —	235—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	25— „	პენსი
ამსტერდამი— —	127— „	ცენტი
ბერლინი— — —	215—50	პფენიგი
პარიჟი — — —	264—50	სანტიმი

საქართველო

აბხაზები და აბხაზეთი

Აბხაზეთი და საზოგადოთ მთელი ეს კავკასიის ნაპირი შავის ზღვისა ერთი მშვენიერთაგანი და უმდიდრესთაგანი კუნჭულია დედა-მიწისა. Უხვ ბუნებას დაუზოგავად მოუფენია აქ თავის ყოველგვარი სიმდიდრე: თვალ-გადუწვდენელი საბალახე ადგილები, მთები ტყით მოფენილნი, მინდვრები, რომელზედაც პური, სიმინდი, ღომი, თამბაქო, მშვენიერი ღვინო და თვით ჩაის მცენარეც კი ხარობს. მშვენიერი ჰავა, მშვენიერი ნიადაგი, თვალთათვის საამო ბუნება და ადგილების მდებარეობა.

Მაგრამ რამდენათაც ეს ბუნება ბედნიერი და მდიდარია, იმდენათ ხალხი, რომელიც აქ ესახლა, ძველადგანვე იყო უბედური და ღარიბი.

Განათლების სხივი არ მოფენილა ამ ქვეყანაში; ჩერქეზები და აბხაზები, რომელნიც აქ ცხოვრებდნენ, მხოლოთ იმდენათ სარგებლობდნენ ამ თავის ქვეყნის სიმდიდრით, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ. მოჰყავდათ ცოტაოდენი სიმინდი, ცოტა ქერი, ცოტა თამბაქო, ღვინო, ჰყავდათ საქონელი და სხვა რაც მხოლოთ იმათთვის აუცილებლად საჭირო იყო.

Უმეცარი ხალხი არ ჰფიქრობდა იმაზე, რომ ესარგებლნათ ზღვით, ესარგებლნათ

ფელტონი

ს ც ე ნ ა

(სტოლთან სხედან ოკრუჟნი სუდის სამი წევრი, პროკურორი და სეკრეტარი. Მახლობლათ, ძირს, დგას თარჯიმანი და სკამზედ ზის ბრალდებული ხევსური.—საქმე სწარმოებს თელავში).

Თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. (თარჯიმანის პირით ჰკითხავს ბრალდებულს):—შენზედ სდევს ის ბრალდებულება, რომ თოფი გისროლია აი ამ კაცისათვის, (უჩვენებს მოჩივარზედ) და განდომებია მოკვლა. Ჰხედავ ამ საქმეში შენს თავს დამნაშავეთ, თუ არა?

Თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი. (სომეხია). შენ მართლა ამ კაცის მოკვლა მოგინდომებია?

Ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი. რას ამბობ ეი, რისად მოვკლიდი?!

Თ ა ვ მ ჯ. მაშ არ გისროლია თოფი?

Ბ რ ა ლ დ. (თარჯიმანს ჩუმათ). მაგისად არ დამიკრავს თოფი და შესაშინად კი მივაცალე!

Თ ა ვ მ ჯ. რა აზრით გინდოდა მაგისი შეშინება?

Ბ რ ა ლ დ. Იმისად, შენი თავის ჭირიმე, რომ სისხლს ვსთხოვდი!

Თ ა ვ მ ჯ. როგორ! რას ჰნიშნავს ეგ შენი სიტყვები?

Ბ რ ა ლ დ. Ამის გვარ-ნათესავს ჩემ გვარ-ნათესავი რამ მოუკვლია, შენი თავის ჭირიმე!

Თ ა ვ მ ჯ. (მოჩივარს). შენ აგვიხსენ—ვის ვინ მოუკლავს?

Მ ო ჩ ი ვ ა რ ი. Არ ვიცი, შენი თავის ჭირიმე; ჩემ ხანში არ ყოფილა ეგ სისხლი, მაგრამ ერთს ჩემგვარ კაცს კი დაუკრავს Იმედაშვილისთვის თოფი და სისხლი აულია.

Თ ა ვ მ ჯ. მაშ ამ მოჩივრისა რა ბრალი იყო, რომ ამას ესროდი თოფსა? კაცი ხომ სხვამ მოკლა?

Ბ რ ა ლ დ. ჰო და ხომ მოკლა ეი! ხომ ამის გვარ რამ იყო! მეც იმისად შევაშინე! რად მოკლა ჩემი თვის-ტომი?

Თ ა ვ მ ჯ. რა ნათესავი იყო შენი ის მოკლული!

Ბ რ ა ლ დ. Არ ვიცი, შენი თავის ჭირიმე; მაგრამ ჯერ ხუთი თაობის მეტი არ გასულა მას აქეთ და სისხლი კიდევ მერგების. Ჯერ შვიდი თაობა არ წასულა განა, ეი..

Თ ა ვ მ ჯ. (მოჩივარს). შენ მიგიღია ფიცი და სთქვი მართალი, როგორ მოხდა თოფის სროლა.

Მ ო ჩ ი ვ. ბნელი ღამე იყო და ვახშამს ვსჭამდი. Იმ დროს გოგო რამ გამოვიდა ჩემ კარს და შემატყობინა, კაცი რამ არისო. მე გამოვედ და იმ დროს დამკრა თოფი ამ კაცმა...

Თ ა ვ მ ჯ. მოგხვდა ტყვია, თუ არა?

Მ ო ჩ. სახლთ ქვას შაჰხვდა, შენ კვნესამე, შეელესა ტყვია და მე ძირს დავეცი.

Თ ა ვ მ ჯ. შენ ხომ არ მოგხვედრია, რამ წაგაქცია?

Თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი. (მოჩივარს). ვა! რომ დავარდი, რისთვის დავარდი, შენ ხომ არ მოგხვდა?

Მ ო ჩ. Აჩლოს გამზუზუნა ტყვიამ და შემაწუხა...

ამ მდიდარი ბუნებით, გაემართათ აღებმიცემა, ჰქონოდათ სხვა უფრო განათლებულ ხალხებთან მისვლა-მოსვლა, კავშირი და ამნაირად თვითონაც დამდგარიყვნენ განათლებისა და მოქალაქობის გზაზედ.

არ ჰფიქრობდა იმიტომ, რომ ისტორიული გარემოება ამ ხალხებისა ისეთი იყო, რომ ამ გვარს საქმეებზე ზრუნვის ფიქრი ვერ შეეძლოთ.

შორს წავა საქმე, რომ მოვყვეთ ახლა ჩვენ—როგორი იყვნენ ეს ისტორიული გარემოებანი, თუ რის გამო დარჩნენ ეს ჩინებული ხასიათის, შესანიშნავი ნიჭისა და ბუნებით უხვად დაჯილდოებული ხალხები თითქმის ბარბაროსებად, თუ რატომ შეძვრენ ისინი თავიანთ მთაკლდეებში და ტყეებში და რა მიზეზით აცილდნენ მოქალაქობას, თუმცა ადვილად შეეძლებოდა ამათი რიგიანს გზაზედ დაყენება, ამათი „მორჯულება“, როგორც ჩვენში იტყვიან...

აბხაზებმა მიატოვეს თავიანთი ადგილ-მამული, თავიანთი მიწა-წყალი, მთა-ტყეები და ქოხები და გადასახლდნენ ოსმალეთში, სადაც დიდი უბედურება და ტანჯვის ცხოვრება მოელოდათ.

1864—1866 წლებში, როგორც მოგეხსენებათ და როგორც მაშინ სწერდნენ, თითქმის 200,000 სულზე მეტი მარტო ჩერქეზები გადასახლდნენ ოსმალეთში.

წელს ოფიციალურის ანგარიშით, უკანასკნელი 50,000 სულამდინ აბხაზები მოშორდნენ თავიანთ ქვეყანას და გადასახლდნენ აგრეთვე ოსმალეთში.

ამ დღეებში იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში უფ. მაჭავარიანის სტატია, რომლიდამაც მკითხველი ცხადათ დაინახავდა—თუ როგორ, რა გარემოების დროს და რა ძალ-დატანებით მოხდარა აბხაზების გადასახლება ამ უკანასკნელ ომის განმავალობაში.

მომეტებული ნაწილი აბხაზებისა, რომელიც ხომალდებზე წაიყვანეს ოსმალეთში გადასასახლებელად, სტიროდნენ, ბღაოდნენ, ხელებს თავიანთ სამშობლო ქვეყნისკენ იშვერდნენ და როცა გვეთხოვებოდნენ, ამბობდნენ: მოახსენეთ რუს მთავრობასაო, რომ ჩვენ ჩვენის ნებით არ მივდივართ, ძალად მივყევართ და ამის გამო მტრის ტყვეებათ ჩაგვთვალონო და არა მოღალატეებათაო.

უფ. მაჭავარიანი ამბობს, რომ ეს ხალხი იძულებული იყო მიმხრობოდა ოსმალეთსაო, რადგან არ შეეძლო მტრისთვის წინააღმდეგობა გაეწიაო.

უეჭველია, რომ ამ ხალხში რამოდენიმე პირი აღმოჩნდა, რომელთაც აბხაზეთის განთავისუფლების ჰაზრი უტრიალებდათ თავში და რომელთაც ამისთვის უღალატეს რუსებს. მაგრამ აგრეთვე უეჭველია, რომ მთელი ხალხი, მომეტებული ნაწილი აბხაზებისა ძალა-უნებურად მიემხრნენ ოსმალებს, რადგანც სხვა გზა და საშუალება არა ჰქონდათ-რა თავის საკუთარი თავისა და თავის ცოლ-შვილის დასაცველად.

თუ ეს ასეა, მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა არ დაუშლის და ნება-რთვას მისცემს ყველა აბხაზებს, რომელნიც ხელ-ახლად თავის ქვეყანაში დაბრუნებასა და დასახლებას მოინდომებენ. კაცთ-მოყვარების გრძნობის გარდა ამას მოითხ[illegible]ნობაც და თვით სა[illegible] რადგან უეჭველია, რომ იმ გვარი ხალხები, როგორც ჩერქეზები და აბხაზები, უკეთესია მეგობრად ჰყავდეს კაცს, ვინემ მტრად...

ს. მ.

დღიური

* * ტფილისის ახლო-მახლო აგარაკებიდამ და სოფლებიდამ, სადაც საზაფხულოდ გადასულია ხალხი, და აგრეთვე ბორჯომიდამ და აბასტუმნიდამ გვატყობინებენ, რომ ამ ერთი კვირის წინათ აქ ისეთი სიცივეები იყოვო, რომ იძულებული შევიქენით ოთახებში ცეცხლი დაგვენთო და, თუ არ თბილი ტანისამოსით, ისე გარეთ ვერ გამოვდიოდითო. ახლა კი ისევ თბილი ტაროსები დაიჭირა, მხოლოთ დილა-საღამოობით გრილაო.

ნეტავი იმათ! სოფლებში და აგარებში დილა-საღამოობით მაინც გრილა და შუადღეზე ტყეში მაინც შეიფარებიან; ჩვენ კი დილითაც სიცხე, საღამოსაც სიცხე, არც შუადღეზე ჩრდილი...

* * ამ წინაზე ჩვენს გაზეთში იყო მოყვანილი, რომ ერთი ჩვენებური ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი უფ. ბერიძე, სხვა-და-სხვა კერძო-პირების ღონის-ძიებით, გაგზავნილი იყო პეტერბურღის სამხატვრო აკადემიაში თავის ხელობაში გასავარჯიშებლად.

ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ყმაწვილ კაცს ვერ აუტანია პეტერბურღის ცივი ჰავა და ბუნება და ამის გამო რამდენსამე პირს და აგრეთვე, როგორც ამბობენ, ტფილისის საადგილ-მამულო

თავმჯ. (ბრალდებულს). რას იტყვი ამაზედ?

ბრალდ. (მოჩივარს). ხომ კი შევეძმობილეთ მე და შენ, რისაღა სჩივი, ეი!

თავმჯ. მაგას ნუ ელაპარაკები, პასუხი მე მომეც!

ბრალდ. ჰო და მას აქეთ ხუთი წელია შევრიგდით, გზათაც ერთად ვივლიეთ, არაყიც ერთად ვსვით; შენ რაღა გინდა, ეი?

თავმჯ. ეს იმისთანა საქმეა, რომ შერიგებით არ შეიძლება მოსპობა. ამისათვის მიპასუხე: რა განზრახვით ესროლე თოფი და რით იყო ის გატენილი: ქაღალდით თუ ტყვიით?

ბრალდ. ქაღალდით, შენი თავის ჭირიმე. ხუთ წელ გასტანა ამან, სისხლის სამართლო არ მიართვა ლაშარის ჯვარს და მისად შევაშინე!

თავმჯ. (მოჩივარს). რა სამართლო უნდა დაგეკლა?

მოჩ. მამა-პაპა უქნიდეს აგრე! მეც კი დავკვლიდი; მაგრამ მღვდელმა მითხრა: ჩემ ქაღალდში არა სწერია და არ უნდაო. მეც ავიცილე თავით, ეხლა რუსთ ხალხი ვართ განა!

თავმჯ. (ბრალდებულს). მაშ შენ მაინც ამტკიცებ, რომ თოფი იყო გატენილი ქაღალდით და მოსაკლავათაც არ გისროლია?

ბრალდ. არა, არა, არა. ჰო და აგრე გითხარ, ეი.

რადგანაც მოწმები არ გამოცხადნენ, სუდმა განაწესა, რომ იქმნეს წაკითხული იმათი ნაჩვენები გამოძიების დროს.

ბრალდ. რად წაიკითხოთ, ეი! მისადაც დავაყენე ისინი უკენ, რომ წინეთაც ცუდათ ალაპარაკეს!

თავმჯ. (ღიმილით სეკრეტარს). წაიკითხეთ იმათი ჩვენებაები.

სეკრეტარი კითხულობს.

ბრალდ. აი დიდება შენ-და, ღმერთო! სულ თავის ქეიფად იქნავენ სამართალს! (ამოიღო ჩუბუხი, თამბაქოთი აავსო და ტალ-კვესი მომართა).

მოჩ. (ბრალდებულს ჩუმათ) რას ჩადი? პატარა პორკლოის ეწყინების.

ბრალდ. რად ეწყინების ეი, მე რომ ყალიონი დავლიო!

თავმჯ. (შემდგომ ჩვენებების მოსმენისა, პროკურორს). გნებავთ წარმოსთქვათ თქვენი აზრი?

პროკურორმა წარმოსთქვა აზრი, რომლითაც ბრალდებული იცნო დამნაშავედ და ითხოვა მისი ციმბირში გაგზავნა.

თავმჯ. (ბრალდებულს). პროკურორი ითხოვს, რომ შენ იყო დასჯილი ციმბირში გაგზავნით. რას იტყვი კიდევ შენის თავის გასამართლებლად?

ბრალდ. არაფერსა, ჩვენ დიდი ხანია შევრიგდით. პორკლოი ტყუილათ იწუხებს თავს!

სუდმა დაამტკიცა პროკურორის აზრი და დააწესა იშუამავლოს ხელმწიფე იმპერატორთან, რომ ეს სასჯელი შეიცვალოს ერთის წლის დატუსაღებით.

ბრალდ. (წავრებს). მე ასე ვხედავ, რომ უ-ხელმწიფოთ საქმე არ შეგძლებიაო. მაშ რისად პირ-და-პირ არ გაგზავნეთ იმასთან ჩემი საქმე წინეთვე?!

დამსწრე

ბანკის გამგეობას განუზრახავთ ამ ყმაწვილის გაგზავნა იტალიაში.

ჩვენ გვინახავს ამ უფ. ბერიძის მხატვრობა და, თუმცა ჩვენი მხატვრობის დაწვრილებით არ მიგვაჩნია, მაგრამ ამის თქმა კი შეუცდომელად შეგვიძლიან, და ეს თვით პროფესორმა პრემაცციმაც სთქვა, რომ ამ ყმაწვილ კაცისაგან ნიჭიერი მხატვარი გამოვა, და ამის გამო იმაზე დახარჯული ფული მუქთად და უსარგებლოდ დახარჯულ ფულად არ უნდა ჩაითვალოს.

*** ზაქათალიდამ გვწერენ, რომ მთელი უკანასკნელი სამი კვირის განმავალობაში თითქმის გაუწყვეტლივ წვიმები იყო ჩვენს მაზრაში და ამან დიდი ზარალი მოუტანა ჩვენს მაზრასაო. ბევრს ჯერ ისევ ხელ-უხლებელად უდგას მოსამკალი ყანებიო და ვინც მომკა, ძნები დაუსველდა, ვერ გალეწა დროზე და გაფუჭდაო. განსაკუთრებით შეწუხებულები არიან თურმე კახის ახლო-მახლო სოფლები, რომელთაც ყანებს გარდა, ვენახები და ბოსტნები სულ წაულეკა წვიმამაო და გზაც გაფუჭებული აქვთო.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი წერილი იმ პატარა შენიშვნაზედ, რომელიც „დროების“ № 155 „დღიურში“ იყო მოყვანილი დეკკერ-შენკის კონცერტის თაობაზედ:

„უფ. რედაქტორო! თქვენს გაზეთში ეწერა, რომ შაბათს დეკკერ-შენკის კონცერტზედ, როდესაც უფ. პრავდინი კითხულობდა გოგოლის „Записки Сумасшедшаго“, ვითომც ქალებს დაეწყოთ ერთი ქვითქვითი და ტირილი, და პუბლიკას ერთის ხმით ეთხოვნა ვითომც, რომ უფ. პრავდინს გაეწყვეტნა ამ სცენის კითხვა.

„ეს მართალი არ არის. აი როგორ იყო საქმე:

„ეჭვი არ არის, რომ იმ საღამოს მთელი პუბლიკა გრძნობაში და აღტაცებაში მოიყვანა უფ. პრავდინმა. ბევრს, რასაკვირველია, დასწვა გული ამ მშვენიერმა სცენამ და მისმა კარგმა ასრულებამ; მაგრამ ქვითქვითი და ტირილი არ ყოფილა. მხოლოთ, როდესაც უფ. პრავდინი ათავებდა სცენას და ორი სტროჭონი-ღა დარჩა კიდევ, ვიღაც ერთ რუსის ქალს შეუწუხდა გული. მთელი ზალა წამოხტა ფეხზედ; შეიქნა ერთი არეულობა... ვინ იძახის, წყალიო, ვინ იძახის, დუხები, ვინ, კარშიდ გაიყვანეთო ჰაერშიო. და სხვ.

„ამ არეულობაში შესაძლო არ იყო, რომ უფ. პრავდინი დარჩომილიყო სცენაზედ. თავი დაუკრა და გავიდა.

„გაიყვანეს თუ არა ეს ქალი გარეთ, შეიქნა ერთი ფეხების ბრახუნი, სკამების რახუნი, ტაშის-კვრა. გამოითხოვეს უფ. პრავდინი:

მაგრამ იმას აღარ შეეძლო გაგრძელება, არ შეეძლო ხელ-ახლად „შესულიყო იმგვარივე როლში“ მხოლოდ ორი სტროჭონისათვის. თავიდამ კი, რასაკვირველია, აღარ დაიწყო.

P. S ამბობენ, იმ ქალს, გული რომ შეუწუხდა იმ საღამოს, ექვსი წლის ყმაწვილი დაჰკარგვია სადღაც ამას წინეთ, თვე იქნება მასუკან. ნამდვილია თუ არა, არ ვიცი. . .

*** ქუჯრიდამ იწერებიან გაზეთს „მშაკში“, რომ იქაური სომხები თავიანთ ეკკლესიასთან სომხურ შკოლას ხსნიანო.

*** ერთს ახირებულს და ძნელად დასაჯერებელ ამბავს გვწერენ დ. ხონიდამ:

იქაური საყდრისათვის ნაცვალს (სტაროსტას) არჩევდნენ თურმე ამას წინათ მცხოვრებლები. როგორც მოგეხსენებათ იმერეთის ხასიათი, აქაც კი პარტიობა გაჩენილა. ერთი პარტია ამბობდა, რომ ჩვენი კანდიდატი ეკკლესიის პოლის ქვით მოგებას გვპირდებაო და ის ამოვირჩიეთო; მეორე პარტიის კანდიდატი კი ას მანეთს სწირავდა ეკკლესიას. დიდი ლაპარაკი, ყაყანი შეიქნა. . მაგრამ ამ დროს გაჩნდა თურმე ბლაღოჩინი და გამოაცხადა, რომ ეს თანამდებობა „ტორგით“ მიეცემაო:

— ვინც უფრო მეტს შემოიტანს, ის იქნება ნაცვალიო!

დაიწყეს „ტორგი“. . .

— 100 მანეთი, ვინ მეტი?

— 110 მანეთი!

— 130 მან!

— 150 მან!

რამდენიმე მინუტის განმავალობაში 160 მანეთამდინ ასულან და ვისაც ეს ფასი შეუძლევია, ხონის ეკკლესიის ნაცვლადაც ის დარჩენილა! ! . .

ჩვენი ხონელივე კორრესპონდენტი დიდ სამდურავს და მცხოვრებლების უკმაყოფილებას იწერება იქაურს მამასახლისზე. რაც უწესოება ხდება ჩვენს დაბაში და უკმაყოფილება ხალხში, სულ ამის ბრალი არისო. . .

*** „დროებაში“ იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ ერთგული გამომცემელთაგანი ქართული წიგნებისა უფ. ზ. ჭიჭინაძე ძველი ქართული წიგნების კატალოგს არდგენსო. ჩვენ შევიტყვეთ ახლა, რომ ეს უ. ჭიჭინაძე ამ მიზნით ქართლში აპირებს წასვლას, საღაც უნდა დახედოს წიგნები, რომელნიც ქვათახევისა და სხვა მონასტრებში მოიპოვება, და შეადგინოს ამ წიგნების სია.

ეს კარგი საქმეა და იმედი გვაქვს, რომ ვისაც ის მომართავს ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ, ყველანი ხელს მოუმართავენ და დაეხმარებიან.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქ. ახალქალაქი, 2 აგვისტოს. გრენადერის დივიზია, როგორც მოგეხსენებათ, ახალქალაქში დაბანაკდა.

ამ ქალაქში აქამდისინ წამლათ ვინ ნახამდა ფაიტონებს, საზოგადო გარყვნილობის სახლს, ამისთანა ვაჭრობასა, სასტუმროებსა, დივიზიონებისა და პოლკის მუზიკებსა, ფოტოგრაფებსა, არფიანკებსა და სხვ.!

ახლა ყოველ საღამოს [illegible] ფაიტონებით გაქან-გამოქანაება, „პოდრუჩკებით“ სეირნობა. . . .

ახალქალაქის აქეთა და იქით ხევებში ჩამოურაკრაკებენ თაფარავანისა და ყირხ-ბულაღის, თავისი ცივი წყაროებით, მშვენიერი წყლები; მშვენივრად გამწვანებული მდებარეობა; აბულის მთაც გადმოსცქერის და თავის მშვენიერ გრილს ჰაერს არ აკლებს. მდინარეების ნაპირებზედ, მწვანეზედ, ზურნებით ქეიფობა, ჯალაბობით სამოერების გაჩაღება. სომხის ქალები და რძლები წითელი ლოყებით, წითელი ფეშტამლებით და წითელ-ყვითელი ტანისამოსით მწვანეზედ წამოწოლილნი კაცს ეშხსა ჰკვრიან; ზოგან დაინახავ ბროლ სხეულიანებს, ძეხვივით გამსონბილებს, წყალში ირმის შვილებივით ჭყაპა-ჭყუპსა; ზოგან ევროპიულათ განათლებული ქალები, მიპრუწულ-მოპრუწულ კაბებით გოლთას არ გვაკლებენ. . . .

ბინდისას მირაქოვისა და შახპაროვის სასტუმროებში ლამპები ჩაღდებიან, აქ არფიანკები თავიანთი საკრავებით იმართებიან, იტალიანურის, ნემეცურის სიმღერებით; „მერსი-პორდონებით, ბრავოებით და ზაზდაროვიებით“ სმეულობენ და ვახშამს შეექცევიან; როდესაც ღვინო შემოაკლდებათ, შამპანსკისა და კასის-მასისების ბოთლების რაკა-რუკია.

ბოლოს არფიანკები თეფშებით ჩამოუვლიან; სომხობა ძალიან იჭიუჭნება ფულების მიცემაზედ, ერთი მეორეს ეკითხება, „ინჩ პიტი ტასს. წო! მე აბასი ჰერიქე!“

ერთ-ორ თვეს შემდეგ, ეს დივიზია წავა, აღარც მუზიკები იქმნება; ფოტოგრაფები ვილას გადაიღებენ? აღარც არფიანკები დარჩებიან, სასტუმროებიც დაიკეტებინა, ფაიტონებსაც გაჰყიდიან; ეს ვაჭრობაც მოესპობათ, მიპრუწულ-მოპრუწულ კაბებსაც გაიხდიან,—და ეს ჩვენი ახალქალაქი, როგორც ყოფილა' კიდევ ისე ყრუთ დარჩება. . . .

ჯავ ხი

ომის შემდეგ

ავსტრია

ჰერცოგოვინის დედა-ქალაქი—მოსტარი მშვიდობით, სისხლისდ აუღვრელად დაიჭირეს ავსტრიის ჯარებმა; მაგრამ ბოსნიის დედა-ქალაქი სარაევო კი ამ ჟამად განდგომილების (ინსურგენტების) ხელშია. იმათ ამოირჩიეს თავის ღუბერნატორად და სარდლად ერთი მაჰმადიანი ჰაჯი-ლოია, რომელმანც გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ბოსნიელი 18 წლიდამ დაწყებული 60 წლამდინ უნდა გამოვიდეს ბრძოლის ველზე და ყველამ უნდა ეცადოთო, რომ ჩვენ დასაჩაგრავად შემოსულს ავსტრიის ჯარს წინ აღუდგეთო.

ოსმალეთი

ფრანცუზულს გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 25 ივლისს ბერლინიდამ მიღებული:

„აქ ეშინიანთ, რომ ახალი ომი არ ატყდეს. მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთს არ ჰსურს დაკმაყოფილოს საბერძნეთის შესახებ ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილება; ამას გარდა ამბობენ, რომ ავსტრიასა და ოსმალეთს შუაც დიდი განხეთქილება არის ჩამოვარდნილი, რადგან ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხალხის აჯანყებას ოსმალეთს აბრალებენ.“

საბერძნეთი

უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებენ, რომ საბერძნეთის კოროლისათვის ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ორჯერ უსვრიათ ვიღაცაებს თოფი იმ განზრახვით, რომ მოეკლათ. ამბობენ, ხალხი გაბრაზებული არისო, რატომ ამ კაროლმა ოსმალეთს ომი არ გამოუცხადაო და ამის გამო განიზრახეს იმის მოკვლაეო.

განცხადებანი

ქუთაისში

ანტონ ლოთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ აგვისტოს 12-ს, იმის თან-დასწრებით, გამგეობის სადგომში იქნება ბოლოთ ერთხელ ვაჭრობა (безъ переторжки) იმ **ცარიელ მიწის გაყიდვაზედ**, რომელიც ქალაქს ეკუთვნის და რომელიც შეიცავს 55 (ორმოც-და-ხუთმეტს) ოთხკუთხ საჟენს. ეს ადგილი მდებარეს ქალაქის მე-15 უჩასტკაში, მეორე განყოფილებაში. (2—2)

მიხელსონის სტამბაში, რომელიც იმყოფება ბალავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი**, ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლოთქიფანიძის ბიბლიოთეკაში

ფასი ყველგან ექვსი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგოს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ანციევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. ბრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე ქერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

კერძო რეალური სასწავლებელი ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვისა.

თფილისი, ბაღების ქუჩა, სახლი პ. ი. შადინოვისა, № 34.

ამზადებს შესასვლელათ რეალურ სასწავლებელში, სამხედრო გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში.

სასწავლებლის კურსი ეთანხმება მთავრობისაგან დაწესებულს რეალურ სასწავლებლების კურსს.

მომავალი სასწავლო წლიდგან იხსნება ამ სასწალებელში მეოთხე კლასსი. მისაღები **ეგზამენიები დაიწყება** 21 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—1-ს სექდემბრიდგან.

მიღების პირობები შეიძლება შეიტყოს ყოველ დღე სასწავლებელში.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბ ო ბ ო . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5[illegible]			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ო�იი სიტყვა თfilisidam:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს . .	—	50
როსტოვი, ოდესს, მოსკოვ[illegible]	2	—
ბ ტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში. .	3	—
იტალ[illegible]ი და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთი—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნი	4
დ ბ ჭ ე ი ლ ს (ამი ბისხელი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 4 აგვისტ.		
ფქვ. თეთ. ბანჯგვნა, ფთ.	1	80
ფ ვ ლი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევანისა, ფუთი	7	40
— ამერიკისა, ფუთი . .	8	30
ბაპენტილი ბ მბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	—
— თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური ტ .	2	—
ქონ , ფუთი	6	50
ქონის სანთლი ფუთი .	8	80
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	5	20
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	50
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვლი, გირვ . .	—	70
ბეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	—
თამბაქო, ს[illegible]ულ ფთ.	8	50

თფილისის სამკურნალო
ერევნ ს მაიდანზე, წ[illegible]ნამძღვაროვის სახლებში.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათ დამ 10-მდინ.
ოკ[illegible]ბ ბ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბ[illegible]ლ ლ ე ვ ი ჩ[illegible]—შინ. გ. ავთ., ქიუჩარიანც—თვალისა და ხირურგიულ.
ს ა ბ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინ. გ. ბ ქ ტ ი ენერიულ[illegible]ს და კანის
ა. ბ ხ უ ტ ო ვ ი—საბებილ და ბავშვის,
პ ე ე უ ნ ო ვ ი—თვალის.
ოკ თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შ[illegible]ნ. ბ ა ნ ი, ბ ა ქ ს ტ ი—გულის და ნერვების
ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი—შ[illegible]ნ ა ბ. ბ ა ქ ს ტ ი გულის, ქ[illegible]ც—ანტილიტიკური და საშვილ[illegible]ნო ორგანების, ა. ბ ხ უ ტ ო ვ ი—ქალის და ნერვების.
პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვ ერ მ ი შ ვ ი- შ ი ნ ა ბ.,
ა. ბ ა ხ უ ტ ო ვ ი--ქალის და ბ ბ ვ შ ვ ე ბ ს.
შ ა ბ ა თ ს: ვ ერ მ ი შ ვ ი შ ი ნ. ბ., ბ ა ქ.
ს ტ ი-ბ ულ ს ა და პ ე ე უ ნ ო ვ ი—თ ვ ა ლ ი .

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Августа 1878 г. Типографія Меликова. ბეჭდავს ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.